



7040/3-98/22 2 04082022



7040/3-98/22
04-08-2022

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს
ბატონ მიხეილ ჩხენკელს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით და გთხოვთ მომაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- საქართველოში მოქმედი, როგორც საჯარო, ასევე კერძო, რუსულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების / სკოლების ნუსხა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- საქართველოში მოქმედი საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების / სკოლების ნუსხა, რომლებშიც რუსული სექტორი ფუნქციონირებს, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების / სკოლების ნუსხა 2022 წლის იანვრიდან 1 აგვისტომდე მდგომარეობით;
- როგორც საჯარო ასევე კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების / სკოლების ნუსხა, რომლებშიც რუსული სექტორი ფუნქციონირებს, 2022 წლის იანვრიდან 1 აგვისტომდე მდგომარეობით.

გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ შემდეგი დეტალური ინფორმაციის მითითებით: რაიონი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების / სკოლის დასახელება, კლასების და მოსწავლეების რაოდენობა.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
დავით უსუფაშვილი